საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/488

ქ. ბათუმი 28 --- ივნისი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მესამე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფომაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მესამე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 14 ივნისის N01-08/471 ბრძანების, ბსუ-სა და პროფესიულ სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დირექტორის 2023 წლის 12 ივნისის N672707 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მესამე დონე) იმ პროფესიულ სტუდენტებს ***(დანართი №1)***, რომლებიც არ გამოცხადდნენ შუალედურ შეფასებაზე.

2. ბრძანება აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (მესამე დონე) ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე”

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 28 ივნისი № 01-08/488 ბრძანების

დანართი № 1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (მესამე დონე)** პროფესიული სტუდენტები, რომლებიც არ გამოცხადდნენ შუალედურ შეფასებაზე ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" (მე-3 დონე, 2022 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 04 მაისის N01-02/90 ბრძანების შესაბამისად, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ არ უცნობებიათ (შესაბამისად, არც განმეორებითი შუალედური შეფასების ჩატარება მოუთხოვიათ) და შეუწყდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი:

№	პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი№	ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (მესამე დონე) ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი/ ხელშეკრულების № და თარიღი	სტუდენტის მისამართი
1	თენგიზ სამნიძე		N01-08/1042, 13.12.2022 წ. ხელშეკ. N20-04/125, 08.12.2022 წ.	ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ჭარნალი
2	ლიოვა ლუჟანსკი		N01-08/920, 10.10.2022 წ. ხელშეკ. N20-04/45, 06.10.2022 წ.	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N174
3	ლაშა სირაძე		N01-08/920, 10.10.2022 წ. ხელშეკ. N20-04/57, 04.10.2022 წ.	ქ. ბათუმი, თამარ მეფის დასახლება სახლი 25, ბ. 30
4	ზურაბ ჟორჟიკაშვილი		N01-08/920, 10.10.2022 წ. ხელშეკ. N20-04/45, 06.10.2022 წ.	ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ერგე